



შოთა

ჩოჩიშვილი

SHOTA CHOCHISHVILI

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ნუგზარ შატაიძე

TEXT
Nugzar Shataidze

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
მიხეილ ზარგარიანი, გივი კიკვაძე, ზორის სვეტლანოვი,
ალექსანდრე კოტორაშვილი, www.sportphoto.ge

PHOTO
**Mikhail Zargaryan, Givi Kikvadze, Boris Svetlanov,
Aleksandre Kotorashvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ძიუდოს ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Judo Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3488-6

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



შოთა ჩოჩიუვილი

2011

1972 წლის 2 სექტემბერი. მიუნხენი. XX ოლიმპიური თამაშები. „ბასკეტბალ ჰალეს“ სპორტული დარბაზი.

ტატამზე დგას მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იაპონელთა კერპი ფუმითო სასახარა და მეტოქეს მშვიდი, აუღელვებელი სახით უყურებს. თითქმის დარწმუნებულია, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გახდება. ქვემდომე წონაში იგი აღიარებული ფავორიტია და შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ოლიმპიურ თამაშებზე სუსტი მეტოქე არ არსებობს — ყველა ძლიერია, მათ შორის, ალბათ, ეს მაღალი, ათლეტური აღნაგობის ბიჭიც. ტყუილად ხომ არ გააფრთხილებდა ნაკრების მწვრთნელი, ბრძენი კამინაგი — ჩოჩიშვილს უფრთხილდი, მაგას ჩვენი უძლეველი ნაკამურა ჰყავს ნაქცეულიო.

არა, ბიჭი მართლა კარგი ჩანს, ფიზიკურადაც ძლიერი უნდა იყოს, მაგრამ ჯერ თითქმის ბავშვია და ნაკამურას როგორ მოუგო?! ვნახოთ ჩემთან რა გამოუვა... ვითომ შეძლებს წინააღმდეგობა გამინიოს? თუმცა, რა იცი, წინასწარ ვერაფერს იტყვი...

— ჰაჯიმე!!! — შუამავალი მსაჯის ამ შეძახილზე სასახარა მეტოქეს აუჩქარებლად უახლოვდება და ცდილობს კიმონოს საყელოში ხელი ჩაავლოს.

ჩოჩიშვილი სასახარას მარცხენას მარჯვენათი იგერიებს და ახლა თვითონ ლამობს მისი საყელოს ჩაბლუჯვას, მაგრამ არც იაპონელი აძლევს მეტოქეს ამის საშუალებას.

ტატამზე ზანტად მოძრაობენ. ერთმანეთს ზვერავენ.

დარბაზი გასუსულა. მაყურებლები გრძნობენ, რომ სულ მალე აქ საშინელი ქარბორბალა დატრიალდება და მისი შემკვეთიცა და შემსრულებელიც ფუმითო სასახარა იქნება...

უეცრად ჩოჩიშვილი მეტოქეს წელში უვარდება და ცდილობს „ბრუნზე“ წაილოს. სასახარა კონტრილეთს ხმარობს, მაგრამ ვერაფერს ახერხებს და ტატამზე პირქვე ემხოზა.

ფეხზე წამომდგარი ფუმო მობოშებულ ქამარს იხსნის, წელზე საიმედოდ იკრავს, ინასკვავს და ჩოჩიშვილს უყურებს: ღონიერი ყოფილა. ეტყობა, ნაკამურას ამით აჯობა...

ჭიდაობა გრძელდება.

თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა, ეს შეხვედრა სულ რამდენიმე წამში დაესრულებინა, მაგრამ ახლა, რატომღაც, ასე აღარ ფიქრობს — უნდა გამოსცადოს, უნდა კარგად შეისწავლოს მეტოქის ტექნიკური არსენალი და ფიზიკური შესაძლებლობები. როგორც ატყობს, ამ ბიჭს მომავალშიც არაერთხელ შეხვდება და ვინ იცის, ეს ცოდნა როდის გამოადგეს...

მაყურებლები ხმაურობენ, აშკარად ატყობენ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი პასიურობს. ნეტავი, ხომ არ შეშინდა?

სასახარა გუმანით ხვდება მაყურებლის ფიქრს და, ცოტა არ იყოს, ბრაზდება — კარგი, რახან ეგრეა, ვნახოთ... ზოგჯერ მაყურებლის აზრიც ხომ უნდა გაითვალისწინოს კაცმა... მეტოქეს მარცხენათი კიმონოს სახელოს უჭერს, მარჯვენას ქამარში ავლებს, მაგრამ ჩოჩიშვილი საშინელი ძალით ეწინააღმდეგება, ხელიდან უსხლტება და თავი რომ დაიზღვიოს, ძირს ეცემა. ფუმოს კი სულ სხვა რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული... ეგ არაფერი, მთავარია სისწრაფეში აჯობოს, თორემ კამეჩის ღონეც რომ ჰქონდეს, მაინც არაფერი გამოუვა. იაპონური ანდაზაც იგივეს ამბობს: „ჯანის წამალი ფანდია“.


დრო იწურება. ბოლო ნუთია. სასახარა მცირე უპირატესობით იგებს, მაგრამ ასე მოგება რა ჩემპიონის საკადრისია — მისგან ხომ მხოლოდ „იპონს“ მოელიან.

უეცრად ამჩნევს, რომ ჩოჩიშვილი რაღაც უცნაურად ატოკდება, თითქოს ცეკვავსო.

ფუმო უძრავად დგას და ჩუმად უყურებს.

მონინააღმდეგე თანდათან უახლოვდება, ტოკავს და ცდილობს ამ მოძრაობაში მეტოქეც აიყოლიოს.

— დროა, ფიქრობს სასახარა, — უკვე დროა... ამ ბიჭს უნდა, რომ



ცეკვაში ავყვე. კეთილი და პატიოსანი, ვნახოთ ერთი, აქედან რა გამოვა...

ფუმოო ცდილობს წელში შეუვარდეს, მაგრამ ჩოჩიშვილი კიმონოში ორთავ ხელს ავლებს, სწრაფად შემობრუნდება, მეტოქეს ზეზელა კისრულზე წამოიღებს და ჰაერში ფეხებასხმარტალებულ სასახარას ტატამზე ახეთქებს.

იაპონელზე მეტად მსაჯები იბნევიან.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამონვება და ამ სიჩუმეში ზარით ისმის შოთას მწვრთნელის, გურამ პაპიტაშვილის ხმა:

— შენი ჭირიმე, შოთა!!!

შუამავალი მსაჯი გაშლილ ხელს მალლა შემართავს და მჭახედ შესძახებს: „იპონ!“

სასახარა გაოგნებული დგას. მან ჯერ არ იცის, რომ ქართველებსაც აქვთ ერთი კარგი ანდაზა — „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ — და გულდანყვეტილი ფიქრობს: „არა, წინასწარ მართლა ვერაფერს იტყვის კაცი... ვერა, ვერაფერს იტყვის“...

ვახტანგ ბალავაძე: „მიუნხენის ოლიმპიადაზე თვითმხილველი ვარ მწვერვალისაკენ შოთას ტრიუმფალური სვლისა. ქართული მეფური ილეთით — მე ასე ვუნოდებ ზეზელა კისრულს — რა საოცრად დაანარცხა სახელგანთქმული იაპონელი ტატამზე. მის პაექრობაზე მისული ქართველი ოლიმპიელები (მე მაშინ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი ვიყავი) აღფრთოვანებულები ფულოცავდით შოთას“.

საკავშირო ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელ ვლადლენ ანდრეევს ღიმილით უახლოვდება კამინაგი — იაპონელთა მწვრთნელი, ხელს ართმევს და გულითადად ულოცავს გამარჯვებას.

— გახსოვთ, რა ვინინასწარმეტყველე შარშან, პოლონეთში? — ეუბნება იგი, — მაშინ გითხარით, რომ ჩოჩიშვილს დიდი მომავალი ჰქონდა, მან ხომ გდანსკში ნაკამურა წამიქცია.

კამინაგის ასეთმა ჯენტლმენურმა საქციელმა ანდრეევი გააოცა — მაინც რანი არიან ეს იაპონელები?!



— ახლა კი ჩემი ერთ წინასწარმეტყველებაც უნდა გაგანდოთ, — დასძენს კამინაგი, — დაიმახსოვრეთ, ჩოჩიშვილის დღევანდელი გამარჯვებით ძიუდოში ახალი ეპოქა იწყება.


მაგრამ ანდრეევმა იცის, რომ ეს მხოლოდ კარგი დასაწყისია. ჯერ ყველაფერი წინაა. პირველი წრის შეხვედრაში ჩოჩიშვილს გაუმართლა — მისი ჩრდილოეთ კორეელი მეტოქე ჩუო დუ იონგი ავადმყოფობის გამო ტატამზე არ გამოცხადებულა და ამიტომ მეორე წრეში დაბრკოლების გარეშე გავიდა. აქ კი ბედმა მრისხანე მეტოქეს, ფუმით სასახარას შეხვედრა. ანდრეევი შეშფოთდა — ილბალი არ გინდა, რალა სასახარა, რალა ეს ბექდაუდებელი იაპონელი? მაგრამ იმედი არ დაუკარგავს: როგორც ყველა, ისიც დარწმუნებული იყო, რომ შოთასთან გამარჯვების შემდეგ ფუმით ყველა დანარჩენ შეხვედრასაც მოიგებდა, რისი წყალობითაც, ძიუდოს მაშინდელი წესების თანახმად, ჩოჩიშვილი სანუგეშო ჯგუფიდან გააგრძელებდა ბრძოლას. ვინ იცის, იქნებ ფინალამდეც კი მისულიყო.

ამ ქართველის იმედი ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ როგორ წარმოიდგენდა, რომ ეს ახლადფეხადგმული ბიჭი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გაუმკლავდებოდა, უფრო მეტიც, ასე ეფექტურად დაამარცხებდა!


შოთას გამარჯვებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა

მესამე წრეში იგი ინგლისელ დევიდ სტარბუქს ხვდება, თუკი მასთანაც გაიმარჯვა და ნახევარფინალამდე მიაღწია, სანუგეშო ჯგუფიდან ახლა უკვე სასახარა იბრძოლებს და, რასაკვირველია, ფინალშიც გავა, სადაც უეჭველი გამარჯვება უჭირავს ხელში — განრისხებულ მეტოქესთან შოთა ველარაფერს გააწყობს.

არა, ეს იაპონელი შეჯიბრებიდან უნდა გამოთიშონ, უსათუოდ ახლავე უნდა ჩამოიცილონ გზიდან, ამისათვის კი ერთადერთი ხრიკი არსებობს — მესამე წრის შეხვედრა უნდა დათმონ. თუ შოთა სტარბუქსთან წააგებს, სასახარა შეჯიბრებას ავტომატურად გამოეთიშება. სტარბუქი ნახევარფინალში გადის, შოთა კი სანუგეშო ჯგუფში ხვდება, სადაც ფინალში გასვლის დიდი შანსი აქვს.



შოთა ჩოჩიშვილი,
როგორც თითქმის ყველა
ჩვენი სახელოვანი
ფალავანი, დიდ
სპორტში ქართული
ჭიდაობიდან მოვიდა.



ერთი შეხედვით, მზაკვრული ჩანაფიქრია, მაგრამ ძიუდოს მაშინდელი წესებიდან გამომდინარე, ამგვარი „მზაკვრობა“ სათაკილოდ არ ითვლებოდა.

ანდრეევი ჯერ თავის მოადგილეს, მასლოვს ელაპარაკა, მერე შოთა დაიმართოხელა და ყველაფერი აუხსნა.

გადაწყდა, რომ ინგლისელი ნახევარფინალში გაეყვანათ.

ამ საიდუმლო შეთანხმების ამბავი, რა თქმა უნდა, არავინ იცოდა. ამიტომაც აღწერდა ჩოჩიშვილისა და სტარბრუკის შეხვედრას ერთი ჩვენებური ჟურნალისტი ასეთი გულისტკივილით: „შემდეგი მეტოქე ინგლისელი კოლან სტარბრუკი იყო. არ ვიცი, რატომ გამოვიდა იგი საჭიდაოდ, თუკი არც თვითონ ეცდებოდა ილეთის ჩატარებას და არც მეტოქეს მისცემდა ამის საშუალებას. სტარბრუკს შერკინების უჩვეულო მანერა ჰქონდა, წელში მოხრილი ჭიდაობდა და მეტოქისათვის შეუვალი იყო. შოთამ რამდენჯერმე სცადა ხელი ჩაეველო მისთვის, მაგრამ ბრიტანელი მყისვე ჩაიჩოქებდა და ილეთის ჩატარების საშუალებას არ იძლეოდა. კრიტიკულ მომენტში არც ტატამიდან გაქცევას თაკილობდა. შეხვედრის დრო ამოინურა და მსაჯებმა უპირატესობა სტარბრუკს მიანიჭეს. რომ გეკითხათ, რისთვის, ალბათ ვერც ერთი ვერ გიპასუხებდათ. ჭიდაობის ასეთი მეთოდით ბრიტანელი ნახევარფინალში გავიდა“.

ასე და ამგვარად, ჩოჩიშვილის დამარცხება მსაჯებს დაბრალდათ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ისინი არაფერ შუაში იყვნენ.

ანდრეევს ასეთი შეფასება ხელს აძლევდა. მისი ჩანაფიქრის პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა, ახლა მთავარი იყო, შოთას საწუგეშო ჯგუფში ევაჟკაცა.

ძიუდოს შეჯიბრების მაშინდელი რეგლამენტით, საწუგეშო ჯგუფის წევრები ერთმანეთს ნახევარფინალში გასასვლელად ერკინებოდნენ. ეს შეხვედრები „ბასკეტბალ ჰალეს“ ხალხით გაჭედნილ დარბაზში სადამოს ჩატარდა.

ჩოჩიშვილს თითქმის ყოველ 10-15 წუთში ერთხელ უხდებოდა ტატამზე გამოსვლა.

მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა.

გალომებულ ქართველს წინ ველარავინ დაუდგა: ჯერ ფრანგი პიერ ალბერტინი დაამარცხა და ამას სულ რაღაც 15 წამი მოანდომა, მერე ამერიკელი ჯეიმს უოლვი — 25 წამში და ბოლოს გერმანელი პაულ ბარტი — 1 წუთსა და 15 წამში.

ფინალში ჩოჩიშვილი კვლავ სტარბრუკს შეხვდა

ბიძინა მაზიაშვილი: „ოლიმპიადაზე, 6 მონაწილიდან 3 საქართველოდან იყო. შოთასთან ერთად გამოდიოდნენ გურამ გოგოლაური და გივი ონაშვილი. ჩვენ, გურამ პაპიტაშვილი და მე, ამ ჭაბუკების მწვრთნელები, მიუნხენში ტურისტებად წაგვიყვანეს და საშუალება მოგვეცა შეჯიბრებას დავსწრებოდით, ოღონდ ტრიბუნიდან.

როცა ქართველი ბიჭები ტატამზე გამოდიოდნენ, ჩვენ მოშორებით ვისხედით.

ახლა ყველასათვის დაწვრილებითაა ცნობილი ოლიმპიადის პერიპეტიები. მხოლოდ ერთ მომენტს გავიხსენებ, რაც მე და გურამ პაპიტაშვილს გადაგვხდა შოთას ფინალური შეხვედრის დროს.

შოთას თითქმის ყველა შეხვედრა მინახავს, მაგრამ მისი ასეთი განწყობა, განმეორებით რომ შეხვდა ინგლისელ სტარბრუკს, მანამდე არ მენახა.


მიუნხენის ოლიმპიადაზე, შეჯიბრების წესების თანახმად, არ ცხადდებოდა არც „კოკა“, არც „იუკო“, ცხადდებოდა მხოლოდ „ვაზარი“. თუ შეხვედრა „ვაზარის“ გარეშე დამთავრდებოდა, მაშინ გამარჯვებულს მსაჯები გამოავლენდნენ.

სტარბრუკთან ჭიდილში „ვაზარამდე“ საქმე არ მისულა, თუმცა შოთამ დაჯაბნა მეტოქე და ნახევარქულიანი ილეთებიც ჩაუტარა, მაგრამ მათ წინა შეხვედრაში მსაჯთა მიკერძოების გამო მაინც შეშინებული ვიყავით.

ახლა ფინალურ შერკინებაში გამარჯვებულის გამოცხადებამდე, წარმოიდგინეთ, როგორი ნერვები უნდა გვექონოდა მე და გურამ პაპიტაშვილს, რომ არ გვენერვიულა.



შოთა ჩოჩიშვილი:
 «გუშინდელივით მახსოვს
 ჩემი ბედნიერი ბავშვობა...
 დედა — უსაზღვრო სითბო
 და სიკეთე;
 მამა — მფარველი,
 ყველაზე ძლიერი.
 ახლაც ჩამესმის დედის
 ტკბილი ხმა, როცა ის
 წიგნებს გვიკითხავდა
 საგმირო საქმეებზე,
 კეთილსა და ბოროტზე.
 რამდენჯერ დაგვეთენებია
 თავზე წიგნის კითხვაში.»



როცა ჭიდილი დამთავრდა, მსაჯები მოემზადნენ გამარჯვებულის გამოსავლენად. გურამს ნერვებმა უმტყუნა და თავი ჩაღუნა. მე უფრო ყოჩაღად ვიყავი (ეჭვიც არ მეპარებოდა შოთას ნარმატებაში). სამივე მსაჯმა ერთდროულად ცნო შოთას გამარჯვება. ატყდა დიდი ოვაციები, წამოვხტი და დავეშვი სარბიელისაკენ, მინდოდა შოთასთვის მიმელოცა, მაგრამ უშედეგოდ, პოლიციამ შოთამდე არ მიმიშვა.

გურამი აზრზე რომ მოვიდა და მის გვერდით ველარ მნახა, მიხვდა, რომ შოთას გამარჯვება გამოაცხადეს. ამასობაში მეც მივბრუნდი ჩემს ადგილზე და იმ ნუთში ჩვენზე ბედნიერი დედამინის ზურგზე კაციშვილი არ იყო“.

შოთა ჩოჩიშვილი: „გულწრფელად გეტყვით, რომ მე არ გამჭირვებია სასახარასთან შეხვედრაში. და, აი რატომ. მე შეტევისას და თავდაცვისას ძირითადად ვიყენებდი ქართული ჭიდაობის ილეთებს. განსაკუთ-

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ასლოვდებოდა. გურამ პაპიტაშვილმა შოთა თბილისში, ბიძინა მაზიაშვილთან გაგზავნა და თანწერილი გაატანა, „ძიუდოს პაპას“ სწერდა — ეს ბიჭი გამოსცადე, იქნებ ტურნირისთვის გამოგადგესო. მაზიაშვილმაც გამოსცადა: ჯერ გიორგი რევაზიშვილს დასჭიდა, მერე ამირან მუზაევს და როცა ახალბედა ძიუდოისტმა ორივე ფალავანი წააქცია, იგი საქართველოს სატურნირო ნაკრებში შეიყვანა. თბილისელმა მაყურებელმა შოთა ჩოჩიუშვილი პირველად სწორედ ამ ტურნირზე იხილა.





რებით კარგად გამომდიოდა ბრუნი და კისრული. იაპონელებმა იციან ვაჟკაცური ჭიდაობა, მოგყვებიან ჭიდაობაში, რომ იტყვიან, შემოდთან ფანდზე. მე ზუსტად ეს მანყობდა. იმიტომაცა მაქვს იაპონელებთან დადებითი ბალანსი.“

გივი ონაშვილი: „შეჯიბრების დღეს სულ შოთასთან ვიყავი. მაინც ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, ამხელა შეჯიბრებაზე პირველად გამომდიოდა. მეუბნებოდა, შორს არ ნახვიდე, ჩემს გვერდით იყავიო. ვამხნევებდი როგორც შემეძლო. ერთ-ერთ შეხვედრაში კომონო დაეხა და, მგონი, ნახევარფინალი და ფინალი ჩემი კომონოთი იჭიდავა. ჰეესინ-კისა და რიუსკას შემდეგ, შოთა იყო მესამე არაიაპონელი, რომელმაც ოლიმპიადაზე გაიმარჯვა... ყველამ ძალიან გავიხარეთ. მიუხედავად იმისა, რომ არენაზე ჩასასვლელთან პოლიციელები იდგნენ, მაინც მივაღწიეთ არენამდე, იქვე იყვნენ ჩვენი მწვრთნელები — გურამ პაპიტაშვილი და ბიძინა მახიაშვილი. ავიტაცეთ ხელში ჩვენი ჩემპიონი და ასე მივულოცეთ დიდი გამარჯვება.“

* * *

მიუნხენის ოლიმპიური თამაშები, ქართველი სპორტსმენებისათვის, განსაკუთრებულად უხვმოსავლიანი გამოდგა: მათ სამშობლოში ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს. ოლიმპიური ჩემპიონობა იზეიმეს ვიქტორ სანეევმა, ლევან თედიშვილმა, შოთა ჩოჩიშვილმა, ვიქტორ კრატასიუკმა, ზურაბ საკანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ. დიტო შანიძე ვერცხლის პრიზიორი გახდა, ხოლო ომარ ფხაკაძე, გივი ონაშვილი, მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი ბრინჯაოს მედლებს დაუფლნენ. გარდა ამისა, მეოთხე ადგილებზე გავიდნენ ქეთევან ლოსაბერიძე და თინათინ ლეკვეიშვილი, ხოლო ჯემალ მეგრელიშვილმა და გურამ გოგოლაურმა მეხუთე ადგილები დაიკავეს.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც შოთა ჩოჩიშვილის გამარჯვება იყო, რადგან, ფაქტიურად, ჭიდაობის ეს სახეობა ჩვენში მაშინღა იდგამდა ფეხს. მსოფლიო პირველობებსა და საერთაშორისო ტურნირებზე მანამდე მხოლოდ იაპონელები ხდებოდნენ ჩემპიონები და ეს ბუნებრივიც იყო, ძიუდო ხომ იაპონური ჭიდაობაა.

* * *

1868 წლიდან იაპონიაში რადიკალური ბურჟუაზიული რეფორმები დაიწყო. მეომრებს, რომლებიც მსხვილი ფეოდალების დაცვაში მსახურობდნენ და ლუკმაპურს ამით შოულობდნენ, იარაღის ტარება აეკრძალათ, ამიტომ იძულებულნი გახდნენ უიარაღო თავდაცვის ხერხები შეესწავლათ. შეიქმნა ჯიუ-ჯიცუს — ამ უძველესი საბრძოლო ხელოვნების მრავალი სკოლა, სადაც მსურველებს სხვადასხვა სტილისა და სახეობის ორთაბრძოლებს ასწავლიდნენ.

1882 წელს, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა ძიგარო კანომ, შექმნა სრულიად ახალი სისტემის სპორტული ორთაბრძოლა, რომელსაც „ძიუდო“ („ძიუ“ — ფაფუკი, „დო“ — გზა) უწოდა და ტოკიოში საკუთარი სკოლა — „კოდოკანი“ დააარსა.

როდესაც თავისი სწავლების არსს განმარტავდა, კანო წერდა: „ძიუდო არის ფაფუკი გზა დათმობისა და დამყოლობისა, რათა საბოლოო გამარჯვებას მიაღწიო“.

კაცმა რომ თქვას, ეს უცნაური ფილოსოფია ძიუდოს მამამთავარს არ შეუქმნია, მას უძველესი ისტორიული ძირები გააჩნია.

ძალიან დიდი ხნის წინათ იაპონიაში ცხოვრობდა ექიმი აკაიამა, რომელსაც თურმე საკუთარ ბაღში სეირნობა უყვარდა. ერთხელ, გვიან შემოდგომით, როცა ხეებს ფოთოლი ჯერ კიდევ არ გასცვენოდათ, აკაიამა გარეთ გამოვიდა და ნახა, რომ ნაადრევი თოვლი მოსულიყო. მძიმე, სველ თოვლს ხეთა ტოტები ჩამოეღენა. ამ უბედურებას მხოლოდ საკურას (ალუბლის) ერთი შიმალი გადარჩენოდა, რომელიც თოვლის

სიმძიმისაგან დაზნექილი თანდათანობით იხრებოდა, დაბლა იწევდა და როცა კენწერო თითქმის მინამდე დაუშვა, მისი ფოთოლშერჩენილი ტოტებიდან თოვლი ძირს ჩამოცურდა, ჩამოიბერტყა, თვითონ კი გასწორდა და ძველებურად წელში გაიმართა. აკაიამას გონება გაუნათდა — თუ გინდა რომ გაიმარჯვო, ჯერ უნდა დაჰყვე! მან შეიმუშავა და გამოაქვეყნა ხელჩართული ბრძოლის 300 ილეთი, რომლითაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეიძლებოდა.

დიგარო კანომ ძიუდოს საფუძვლად სწორედ „საკურას ფილოსოფია“ დაუდო. მისი პრინციპი იყო „სერიოკუ ძენკიო“ — „მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევა მინიმალური ენერჯის ხარჯზე“.

კანოს აზრით, ძიუდო პიროვნების ჰარმონიულად განვითარების საუკეთესო საშუალებაა და ის, ვინც სპორტის ამ სახეობაში სერიოზულად ვარჯიშობს, შესანიშნავ ფიზიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ მომზადებას გადის. ძიუდოსტმა უნდა შეძლოს მეტოქის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, უნდა იყოს გულადი, შეუპოვარი და, იმავე დროს, სხვათა მიმტევებელი და პატივისმცემელი, რადგან თუ ადამიანი საზოგადოებისათვის უსარგებლოა და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, მისგან კარგი მოჭიდავე ვერასოდეს დადგება. ძიუდოსტი, პირველ ყოვლისა, კაცობრიობის პროგრესსა და ერის მომავალზე უნდა ზრუნავდეს.

შვიდი წლის შემდეგ ტოკიოში უკვე რამდენიმე კოდოკანი ფუნქციონირებდა, სადაც კანოს 1 500-ზე მეტი შეგირდი ვარჯიშობდა. ისინი ბერების მკაცრი რეჟიმით ცხოვრობდნენ: იღვიძებდნენ დილის 4 საათსა და 45 წუთზე, ალაგებდნენ საკუთარ ოთახს, სკოლის შენობასა და მის მთელ ტერიტორიას. დღის განსაზღვრულ ნაწილს უთმობდნენ მეცადინეობას ფილოსოფიაში, პოლიტიკის ხელოვნებაში, ეკონომიკასა და ფსიქოლოგიაში; მეორე მონაკვეთში ვარჯიშობდნენ და ჭიდაობის ილეთებს ხვენდნენ. კოდოკანის მონაფე არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა: ემსახურებოდა სტუმრებს, ამზადებდა კერძს, ირეცხავდა და იკერებდა ტანისამოსს.

საქართველოს
ძიუდოსტა ნაკრები.
1973 წელი.





ზუსტად ასევე ცხოვრობდა თვითონ ძიგარო კანოც, ის თავის მოსწავლეებს პირადი მაგალითით ზრდიდა. უფრო მეტიც, ლამამობით, როდესაც ყველას ეძინა, იგი განათლების სამინისტროს შეკვეთით ინგლისურიდან თარგმნიდა სხვადასხვა წიგნებს, რათა მასში აღებული კონორარით ძიუდოს სკოლები შეენახა.

გავიდა ხანი და ძიუდომ იაპონიაში ოფიციალური აღიარება მოიპოვა — მას ასწავლიდნენ პოლიციელებსა და ჯარისკაცებს, რამდენიმე წლის შემდეგ კი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის პროგრამებშიც შეიტანეს.

1932 წელს ძიგარო კანო სპორტის მინისტრად დანიშნეს. მან იმავე წლიდან დაიწყო დაულალავი მუშაობა ძიუდოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩასართველად, მაგრამ, სამწუხაროდ, კანო სიცოცხლეში ვერ მოესწრო ამ დიდი ოცნების ასრულებას.

იგი 1938 წელს გარდაიცვალა.

იაპონელებს ანდერძად დარჩათ მისი შეგონება: „ძიუდო არის საშუალება, როგორც ფიზიკური ძალის, ისე სულიერი შესაძლებლობების ყველაზე ეფექტურად გამოვლენისა. ძიუდოს საშუალებით თქვენ სრულყოფთ საკუთარ პიროვნებას“.

იაპონელები ისევე უფრთხილდებიან და უვლიან ძიუდოს, როგორც ორიათასწლოვან სუმოს, რადგან სპორტის ეს ორივე სახეობა საკუთარი კულტურის საგანძურად მიაჩნიათ. ძიუდოს სავარჯიშო დარბაზს „დოჯო“, ანუ „ფიქრის სახლი“ ეწოდება. იქ შესვლისას მოჭიდავე ვალდებულია მოწინებით დახაროს თავი და პატივი მიაგოს იმ საქმეს, რომელსაც ემსახურება.

ძიუდოისტის ფიცი: „რადგან გადავწყვიტე თავი მივუძღვნა ძიუდოს, არ შევწყვეტ ვარჯიშს, თუ ამისათვის არ მექნა სერიოზული მიზეზები;

გპირდებით, ჩემი საქციელით არ შევარცხვინო დოჯო;

არასოდეს გავანდობ სკოლის საიდუმლოებას უცხო პირს, ამასთან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ავიღებ გაკვეთილებს სხვაგან;

სიტყვას ვიძლევი, რომ არ ჩავატარებ გაკვეთილებს ჩემი მასწავლებლის ნებართვის გარეშე;

ვფიცავ, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე პატივი ვცე კოდოკანის წესებს.“

* * *

ხშირად ვამბობთ და ვწერთ, რომ ძიუდო ვალშია ქართული ჭიდაობის წინაშე, რომ იაპონელებმა კარგად შეითვისეს ჩვენებური ილეთები: კისრული, ცერული, შუაკაური, მოგვერდი, ღოჯური და სხვა ფანდები, მაგრამ არავის უკითხავს — რა მიიღო ქართულმა ჭიდაობამ ძიუდოსაგან?

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არაფერი.

ლაპარაკია არა ილეთებზე, არამედ სულისკვეთებაზე, არა მსაჯობაზე, არამედ ღრმა ფილოსოფიაზე, არა მხოლოდ შეჯიბრების ჩატარების წესებსა და წონითი კატეგორიების გადმოღებაზე, არამედ საფუძვლიან სისტემაზე. სამწუხაროდ, ქართულ ჭიდაობას დღემდე არ გამოუჩნდა ისეთი დიდი მოღვაწე და რეფორმატორი, როგორც ძიგარო კანო იყო.

ამით იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს ჩვენს ჭიდაობას არასოდეს ჰყოლია გულმტკივანი ქომაგი და პატრონი. ძველად, სოფლად თუ ქალაქად ყოველთვის მოიძებნებოდა თითო ისეთი კაცი, ვისაც სისხლში და ხორცში ჰქონდა გამჯდარი სპორტის ამ ეროვნული სახეობის სიყვარული, ვისაც დღედაღამ, ცხადში თუ სიზმარში ქართული ჭიდაობა აბოდებდა, ვინც შინ თუ გარეთ, ბანებსა თუ კალოებზე, ეზოებსა თუ მინდვრებში ყმანვილებს ჭიდაობის ილეთებს ასწავლიდა, გულში გმირობისა და ვაჟკაცობის ცეცხლს უღვივებდა, ვინც უპირველესი მოთავე იყო უქმე დღეებში გამართული შეჯიბრებებისა. ასეთი ადამიანები, აქა-იქ ახლაც არიან, მაგრამ მხოლოდ შიშველი ენთუზიაზმით დიადი საქმე არ კეთდება.



დღეს ქართული ჭიდაობა სულს ლაფავს. ნელ-ნელა ვივინყებთ ილეთებს. აღარავინ იყენებს კისრულს, ბრუნს, ღოჯურსა და სხვა ფანდებს, რომლებიც ასე შეითვისა იაპონურმა ძიუდომ. საუბედუროდ, ჩვენი ეროვნული საუნჯე მხოლოდ თითო-ოროლა ენთუზიასტის ანაბარა დარჩა და მათ გარდა მზრუნველი არავინ ჩანს. არადა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ქართული ჭიდაობა ძიუდოს არაფრით ჩამოუვარდება, იგი ისეთივე ნაწილია უძველესი ქართული კულტურისა, როგორც ძიუდო — იაპონურისა.

* * *

შოთა ჩოჩიშვილი, როგორც თითქმის ყველა ჩვენი სახელოვანი ფალავანი, დიდ სპორტში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. აი, როგორ იგო-




ნებს იგი საკუთარ ბავშვობას: „დავბადებულვარ ქართლის შუაგულში, 1950 წლის 10 ივლისს, გორიდან 12 კილომეტრით დაშორებულ ულამაზეს სოფელ ღვლევაში.

ჩემი სოფელი შეფენილია მთის ფერდობზე. სულ 150 კომლს ითვლის. იქ ცხოვრობენ შრომისმოყვარე და კეთილი ადამიანები, რომელთაც ჩემი მშობლებიც განეკუთვნებოდნენ.

როცა ცა მონმენდილია, გაჰყურებ კავკასიონის ჭაღარაშერეულ მწვერვალებს და ისინი თითქოს ვაჟკაცობისა და ძლიერებისკენ გიხმობენ. მწვერვალებიდან მზერა დაბლა ეშვება. თვალი სწვდება სივრცესაც და დროის სიღრმესაც: რუის-ურბნისი, სტეფანენმინდა... აღმოსავლეთით დიდი მონამის სალოცავია — გორიჯვარი, დასავლეთით — ჯვრის წმინდა გიორგი. ყინწვისის ანგელოსი ხომ მშვენება ქართლისა და მთლიანი საქართველოსი... სამხრეთიდან ამ მშვენიერ პეიზაჟს თრიალეთის ქედი აკრავს.

*თბილისის საერთაშორისო
ტურნირზე გამარჯვებულ
შოთა ჩოჩიშვილს
ყველაზე ტექნიკური
მოჭიდებისთვის
დანებული პრიზი
გადაეცა*



ასეა მოქცეული ჩემი სოფელი სალოცავებსა და მთებს შორის.

გუშინდელივით მახსოვს ჩემი ბედნიერი ბავშვობა...

დედა — უსაზღვრო სითბო და სიკეთე;

მამა — მფარველი, ყველაზე ძლიერი.

ახლაც ჩამესმის დედის ტკბილი ხმა, როცა ის წიგნებს გვიკითხავდა საგმირო საქმეებზე, კეთილსა და ბოროტზე. რამდენჯერ დაგვთენებია თავზე წიგნის კითხვაში. შრომისგან დაღლილს ალბათ ძილი ერეოდა, მაგრამ კითხვას თავს არ ანებებდა, ბავშვებს სურვილს გვისრულებდა. შვილები ოთხნი ვყავდით — ორი ძმა და ორი და.

გაჭირვების მიუხედავად მან ადამიანებად დაგვზარდა. სამშობლო-სადმი და ჩვენდამი მისმა სიყვარულმა ბევრი რამ დამანახა და სიკეთის გზაზე გამიყვანა. სწორედ მისგან ჩაეყარა საფუძველი ჩემს სპორტულ მიღწევებსაც.


მამაჩემ სამსონს იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილი მოჭიდავისა და კარგი კაცის სახელით იცნობდნენ. მეამაყება, რომ ცხოვრებაში ბევრჯერ წინ დამხვედრია მამაჩემის სახელი და ღირსება.

მისთვის მიუღებელი იყო სიცრუე და ღალატი. შვილებს მუდამ საკუთარი კაცობის მაგალითით გვზრდიდა...

დადგა ის დღე, როცა დედ-მამამ ჩემი, მერვეკლასელი ბიჭის სასწავლებლად გაგზავნა გადანყვიტა. სწავლა ბორჯომში, სატყეო ტექნიკუმში უნდა გამეგრძელებინა.

კარგად მახსოვს გამგზავრების წინა საღამო... დედაჩემი ეზოში პურს აცხობდა, ჩუმად ტიროდა და მისი ცრემლები თონეში ცვიოდა. მეც ხელით ვიმშრალეზღი თვალებს.

არასოდეს დამავინწყდება ბორჯომი, ეს საოცარი ქალაქი, რომელმაც გულში ჩამიკრა და დამავაჟკაცა. რა დამავინწყებს მის ზღაპრულ პარკს, გოგიასა და პავლეს ციხეებს, ლომის მთას, ჩემს ტექნიკუმს, მასწავლებლებს, განსაკუთრებით მის დირექტორს, ქალბატონ ქსენია ხაჩიძეს და კიდევ თენგიზ გოგრიჭიანს, რომელმაც ჭიდაობას მაზიარა.“



გივი ონაშვილი:
 „ოლიმპიადაზე, შეჯიბრების დღეს სულ შოთასთან ვიყავი. მაინც ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, ამხელა შეჯიბრებაზე პირველად გამოდიოდა. მეუბნებოდა, შორს არ ნახვიდე, ჩემს გვერდით იყავიო. ვამხნევებდი როგორც შემეძლო. ერთ-ერთ შესვენებაში კომონო დაეხა და, მგონი, ნახევარფინალი და ფინალი ჩემი კომონოთი იჭიდავა. ჰეინკისა და რიუსკას შემდეგ, შოთა იყო მესამე არაიაპონელი, რომელმაც ოლიმპიადაზე გაიმარჯვა...“

თექვსმეტი წლისას უკვე მთელი რაიონი იცნობდა. მისი წიდაობის სანახავად შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ და ძველი, გამოცდილი ქომაგები თვალნათლივ ატყობდნენ, დღითიდღე როგორ იხვეწებოდა, როგორ იზრდებოდა მათი ფალავანი.

1967-68 წლებში შოთა ჩოჩიშვილი ქარელის რაიონის ჩემპიონი გახდა, მაგრამ პირველი სერიოზული წარმატება მაშინ მოვიდა, როცა იგი გურამ პაპიტაშვილს შეხვდა.

ბიძინა მაზიაშვილი: „საქართველოში ძიუდოს განვითარება 1962 წლიდან იწყება. გურამ პაპიტაშვილმა დროულად აულო ალლო სპორტის ამ სახეობას. მას მხარში ედგა ისეთი შესანიშნავი პიროვნება, როგორიც იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ხარაული.“

გურამმა საქართველოს ყველა კუთხიდან მოიზიდა პერსპექტიული ახალგაზრდები და საკავშირო ნაკრებს შეუცვლელი შევსება მისცა.

1962 წელი — ანზორ ქიბრონაშვილი ევროპის პირველი ჩემპიონია საბჭოთა კავშირიდან.

1972 წელი — შოთა ჩოჩიშვილი ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონია საბჭოთა კავშირიდან.

1979-1981 წლები — თემურ ხუბულური პირველი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია საბჭოთა კავშირიდან.

ამ ჩემპიონებს ყველა ქვეყანა ინატრებდა. გურამ პაპიტაშვილის დანარჩენი მიღწევები რომ ჩამოვთვალო ძალიან შორს მოგვინევს წასვლა“.

მიღწევები კი მართლაც ბევრი აქვს — იგი სხვადასხვა წლებში მუშაობდა საკავშირო სტუდენტთა ნაკრებისა და სსრკ პირველი ნაკრების მწვრთნელად, იყო საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მისი აღზრდილები ანზორ ქიბრონაშვილის, შოთა ჩოჩიშვილისა და თემურ ხუბულურის გარდა არიან ცნობილი ფალანგები: როინ მაღალთაძე, დურმიშხან ბერუაშვილი, კობა კურტანიძე, გია თენაძე, ჯემალ მჭედლიშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი და მრავალი სხვა.

ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, შოთამ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში განგრძო სწავლა. რა თქმა უნდა, მალე საჭიდაო დარბაზსაც მიაკითხა.

გურამ პაპიტაშვილს პირველი დანახვისთანავე თვალში მოუვიდა 18 წლის კობტა, მაღალი, მხრებგანიერი ჭაბუკი და უყოყმანოდ შეუდგა მის წვრთნას.

შოთამ ძალზე მალე აულო ალლო სამბოსაც და ძიუდოსაც და სულ რაღაც ერთ წელიწადში მოსკოვში გამართულ ჭაბუკ სამბისტთა საკავშირო პირველობაში გაიმარჯვა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ახლოვდებოდა. გურამ პაპიტაშვილმა შოთა თბილისში, ბიძინა მაზიაშვილთან გაგზავნა და თან წერილი გაატანა, „ძიუდოს პაპას“ სწერდა — ეს ზიჭი გამოსცადა, იქნებ ტურნირისთვის გამოგადგესო. მაზიაშვილმაც გამოსცადა: ჯერ გიორგი რევაზიშვილს დასჭიდა, მერე ამირან მუზაევს და როცა ახალბედა

ძიუდოსტმა ორივე ფალავანი წააქცია, იგი საქართველოს სატურნირო ნაკრებში შეიყვანა.

თბილისელმა მაცურებელმა შოთა ჩოჩიშვილი პირველად სწორედ ამ ტურნირზე იხილა. ყველა მოიხიბლა მისი ლამაზი, მოხდენილი ჭიდაობით, განსაკუთრებით კი იმით, რომ შოთამ ძლიერი, გამოცდილი გერმანელი ვებერი დაჯაბნა.

თბილისის ტურნირის შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ შოთა ჩოჩიშვილი მინსკში, უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი გახდა.

ძიუდოს ამომავალი ვარსკვლავი მალე შეამჩნიეს და საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვლადლენ ანდრეევმა იგი გუნდში მიიწვია. შოთა ავსტრიაში, ქალაქ ლინცში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა.

ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, დანიის, შვეიცარიის, უნგრეთისა და იტალიის ეროვნულ გუნდებს საბჭოთა კავშირის ნაკრები დაუპირისპირდა, რომელიც მხოლოდ ქართველი ფალავნებით იყო დაკომპლექტებული. ეს ფორუმი ძიუდოს ქართული სკოლის ტრიუმფით დამთავრდა.

ტურნირზე შოთა ჩოჩიშვილმა, მსაჯების „წყალობით“, ავსტრიელ ელენთან წააგო და ეს ამბავი ისე განიცადა, რომ საშინლად გაბრაზდა და წონასწორობიდან გამოვიდა. საქმეში ბიძინა მაზიაშვილი ჩაერია: „ძიუდოში მთავარი სულიერი სიმტკიცეა, — უთხრა მან, — წინ დიდი გზა გიდევს, მრავალი ხიფათი გელის, მაგრამ გახსოვდეს, ნურასოდეს აჰყვები გრძნობებს“.

1971 წელს, პარიზის დიდ საერთაშორისო ტურნირზე შოთა ჩოჩიშვილმა სუფთად მოუგო სახელგანთქმულ ფრანგ ძიუდოსტ ჟან ლიუკ როჟეს. საინტერესო ის იყო, რომ მსაჯებს დიდხანს არ უნდოდათ მასპინძელი ქვეყნის ფალავნის დამარცხება ელიარებიანათ, მაგრამ როცა შოთამ ფრანგი მოჭიდავე ტატამზე მესამედაც დასცა, რალას იზამდნენ, იძულებულნი გახდნენ გამარჯვების მაუნყებელი „იპონი“ გამოეცხადებინათ.



ვლადლენ ანდრეევი:
„პირველი ჩვენს გუნდში,
რა თქმა უნდა, შოთა ჩო-
ჩიშვილი იყო. 22 წლის
მოჭიდავე ოლიმპიადამდე
იშვიათად მონაწილეობდა
საერთაშორისო ტურნი-
რებში, მიუნხენში კი მან
თავისი უზადლო ოსტა-
ტობა დაამტკიცა. შოთა
მსოფლიოს ყველა ძიუდო-
ისტისაგან განსხვავდება
ილეთების მრავალფეროვ-
ნებით. იგი ყოველთვის
ახალ ფანდს ეძებს და
მეტოქეს პირდაპირ შავ
დღეს აყრის. ჩოჩიშვილი
ოლიმპიური სარბიელის
ნამდვილი აღმოჩენა იყო.“

მერე იყო ინგლისი, პოლონეთი, ჰოლანდია. ამ ტურნირებზე შოთა იაპონელ ფალავნებსაც შეხვდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფინალური შეხვედრა ნაკამურასთან, რომელიც პოლონეთის საერთაშორისო შეჯიბრებაზე, ქალაქ გდანსკში გაიმართა.

ნაკამურა გამოცდილი, ფილიგრანული ტექნიკის მქონე მოჭიდავე იყო, ახალბედებთან იგი მარჯვენა გარე გადაკრულ სარმას ხმარობდა, შოთას კი არსენალში ჰქონდა ამ ფანდის დამაგვირგვინებელი კონტრილეთი — მკერდზე შემოტრიალებით მარცხნივ გდება.

ცხადია, ნაკამურამ ეს არ იცოდა. არც ნაკამურამ და არც მისმა მწვრთნელმა კამინაგიმ. მათ პირველად სწორედ ამ ტურნირზე იხილეს ეს ჭაბუკი.

ნაკამურამ შეხვედრის დანყებისთანავე წამოიწყო თავისი საყვარელი ილეთი და შოთამ იგი ისეთი ეფექტური გდებით დაამთავრა, რომ დინჯმა და ყოველთვის განონასწორებულმა იაპონელებმა გაოცებისაგან ერთხმად დაუსტვინეს.

იმ საერთაშორისო შეჯიბრებებში ახალბედა ძიუდოისტმა მართლაც რომ მშვენიერი გამოცდილება მიიღო. შემთხვევითი სულაც არ იყო, როცა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ტრადიციულად წლის დასაწყისში, თებერვალში იმართება ხოლმე, შოთამ საკავშირო ნაკრების ერთპიროვნული ლიდერი, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ოლიმპიური ნაკრების უდავო პრეტენდენტი ევგენი სოლოდუხინი დაამარცხა.

ძიუდოს საბჭოთა მესვეურები შეფიქრიანდნენ — სოლოდუხინს უკვე მიუხეხნში გასამგზავრებლად ამზადებდნენ, 21 წლის ჩოჩიშვილმა კი მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა.

აზრი ორად გაიყო — ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადლენ ანდრეევი უპირატესობას ჩოჩიშვილს ანიჭებდა, სპორტკომიტეტის წარმომადგენლები კი სოლოდუხინს.

წინა საოლიმპიადო სანვრთნელი ვარჯიშები საკავშირო ნაკრებ-მა ფეოდოსიაში დაიწყო, მერე კი ყველა საუკეთესო მოჭიდავე კიევში შეიკრიბა, რათა საბოლოოდ დადგენილიყო, ვინ იყო მათში ყველაზე ძლიერი.

დაიწყო საკონტროლო შეხვედრები და მალე თითოეულ წონით კატეგორიაში მოჭიდავეთა რაოდენობა ორამდე შემცირდა.

ქვემძიმე წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სოლოდუხინი და ჩოჩიშვილი დარჩნენ. რუსმა მოჭიდავემ ათ სპარინგ-პარტნიორს მოუგო, მაგრამ ათივე დაამარცხა შოთამაც.

საქმე უფრო გართულდა.

ვლადლენ ანდრეევმა ოპონენტებს დასაბუთებული ანგარიში წარუდგინა: სია იმ უცხოელი ძიუდოისტებისა, რომლებიც ამ წონით კატეგორიაში მიუხეხენის ტატამზე უნდა გამოსულიყვნენ. სოლოდუხინს არც ერთ მათგანთან მოგება არ ჰქონდა, შოთას კი რამდენიმე ძლიერი ფალავანი ჰყავდა დაამარცხებული. გარდა ამისა, კიევის შეკრებაზე გამოჩნდა, რომ ჩოჩიშვილის გამარჯვებები უფრო სწრაფი და ეფექტური იყო, ვიდრე სოლოდუხინისა.

ეგეც რომ არ ყოფილიყო, ანდრეევი მაინც შოთას კანდიდატურას დაუჭერდა მხარს, რადგან ძალიან მოსწონდა მისი ვაჟკაცური შემართება და აზრიანი ჭიდაობა. წერდა კიდევ: „ჩოჩიშვილი მთებში გაიზარდა და კაჟივით ყმანვილი დადგა. იგი ბავშვობიდან მისდევდა ქართულ ჭიდაობას, მის სამშობლოში უამრავი სახელოვანი ფალავანი იყო და მაგალითს მათგან იღებდა. ქართულ ჭიდაობას და ძიუდოს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ ყველაზე უკეთ ქართველებმა მოირგეს კიმონო“.

მალე ხმა გავარდა და ამ ხმამ თბილისშიც ჩამოაღწია, რომ ჩოჩიშვილი მიუხეხენის ოლიმპიურ თამაშებზე მიჰყავდათ, მაგრამ...

თუმცა სჯობს ისევ შოთას მოვუსმინოთ: „თითქოს ყველაფერი გადანყვეტილი იყო, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა, ერთ მშვენიერ დღეს, კიევის სანვრთნელ ბაზაზე, ანდრეევმა დამიბარა და მითხრა — საკავშირო



*მონრეალის
ოლიმპიურ სოფელში.
მარჯვნიდან მეორე —
შოთა ჩოჩიშვილი,
მესამე —
ლევან თედიაშვილი*

სპორტკომიტეტის მესვეურებმა გადაწყვიტეს მიუნხენში სოლოდუხინი წაიყვანონო. რა თქმა უნდა, ელდა მეცა.

ანდრეევი ჩემს დამშვიდებას შეეცადა, რას იზამ, ჯერ ახალგაზრდა ხარ, ყველაფერი წინა გაქვსო.

ერთი სიტყვით, პირში ჩალაგამოვლებული გამომისტუმრეს.

ჩამოვედი. ისე ვარ გამშრალი, დანა რომ დამკრან, წვეთი სისხლი არ გამომივა. არ გინდა სოფელში მისვლა? მაგრამ რას ვიზამ.

ღვლევაში რომ ავედი, კვირა დღე იყო, ბიჭებმა მაშინვე საჭიდაოზე გამაქანეს, სადაც შეჯიბრება ტარდებოდა. ძალიან ბევრს მეხვეწნენ, მაგრამ არ მიჭიდავია. არაფრის თავი არა მქონდა. მონყენილი ვიჯექი და ჭიდაობას გულგრილი სახით ვუყურებდი. მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი სისულელე იყო, მეგონა, რომ ჩემი სპორტული კარიერა დამთავრდა და ტატამზე აღარასოდეს გამოვიდოდი.

სწორედ ამ დროს საჭიდაოზე ვილაცა მოვარდა — სადა ხარ, ბიჭო, პაპიტაშვილი გეძებსო!



*გურამ პაპიტაშვილი,
ანზორ ქიბრონაშვილი
და შოთა ჩოჩიშვილი*

მაშინვე გორში გავექანდი და გურამი ვნახე. იმან ახალი ამბავი მახარა: თურმე ანდრეევი კიევიდან მოსკოვში ჩასულა და საკავშირო სპორტკომიტეტის თავკაცებისთვის დაუსაბუთებია — მიუნხენში ჩორიშვილი უნდა წავიყვანოთ და არა სოლოდუხინიო.

ჩავედი თბილისში, იქ თვითმფრინავში ჩამსვეს და სასწრაფოდ მოსკოვში გადამაფრინეს.

ყველაფერი ამით დაიწყო.

მიუნხენში გამგზავრებამდე 20 დღელა რჩებოდა, როცა ვარჯიშის დროს სერიოზული ტრავმა მივიღე: სპარიგთან ჭიდაობისას კისრულს ვამუშავებდი. პარტნიორი რომ ზურგზე მოვიკიდე, ცოტათი უკან დამრჩა, ამიტომ უფრო ღრმად წამოვიღე, მაგრამ ზედ კისერზე დავეცი და მხარქვეშა კუნთები ისე დამეჭიმა, ტკივილისაგან გონება დავკარგე.

გონზე საავადმყოფოშილა მოვედი. თვალი რომ გავახილე, გურამ პაპიტაშვილის შემფოთებული სახე დავინახე და, მახსოვს, გავიფიქრე — მშვიდობით, მიუნხენო-მეთქი!

ანდრეევმა რომ მინახულა, ვკითხე, როგორ იქნება ჩემი საქმე, ოლიმპიადაზე ველარ ვიჭიდავებ-მეთქი?

იმან დამამშვიდა: „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, იჭიდავებ კიდეც და ჩემპიონიც გახდებიო. ეგ ტრავმა კარგი ნიშანია — 10 წლის წინათ ანზორ კიკნაძეც დაშავდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ევროპის ჩემპიონი გახდაო“.

დავინწყე ვარჯიში. დავდივარ „პარნოში“ და ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ჯანზე მოვდივარ. კარგად რომ მოვმჯობინდი, მიშენკოსთან მაჭიდავეს და საითაც გაინია, იქით წავაქციე.

მიუხეხენში კენჭისყრამ არ გამიმართლა. პირველი შეხვედრა უნდა მქონოდა კორეელ მოჭიდავესთან, რომელიც ყურნალისტებსა და სპეციალისტებს ნომერ მეორე ფავორიტად მიაჩნდათ. პირველი, რა თქმა უნდა, იაპონელი სასახარა იყო. ჩემსა და კორეელს შორის გამარჯვებული მეორე წრეში სწორედ მას უნდა შეხვედროდა.

კენჭის ყრის შედეგები რომ გამოცხადდა, ჩვენებმა ხელი ჩაიქნიეს; ნაკრების ხელმძღვანელები ჩემგან მეექვსე ადგილს მოითხოვდნენ, მაგრამ ახლა ყველაფერი წყალში ეყრებოდათ — საკმარისი იყო კორეელთან დავმარცხებულიყავი, რომ საერთოდ გამოვეთიშებოდი შეჯიბრებას. და აი, რატომ: ჩემი ნაგების შემთხვევაში მეორე წრეში კორეელი შეხვდებოდა სასახარას და თუ მასთან ნააგებდა (ეს ასეც მოხდებოდა), მე ავტომატურად ვტოვებდი სარბიელს.

მოხდა სულ სხვა რამ: კორეელი ავად გახდა და მეორე წრეში პირდაპირ სასახარას შევხვდი. იგი უკანასკნელ წამებზე კისრულით დავანარცხე ტატამზე და სუფთა გამარჯვება მოვიპოვე.

შემდეგ წრეში ვხვდებოდი ბრიტანელ სტარბრუკს.

ახლა უკვე სასახარას ბედი იყო ჩემზე დამოკიდებული. თუ მოვიგებდი, ისიც განაგრძობდა შეჯიბრებას, ნავაგებდი და გამოეთიშებოდა ტურნირს. მე წავაგე და სასახარამ ავტომატურად დატოვა სარბიელი, ხოლო რადგან ყველა დარჩენილი შეხვედრა მეც მოვიგე და სტარბრუკმაც, ფინალში ჩვენ გავედით, სადაც ქულებით გავიმარჯვე და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი“.



შოთა ჩოჩიშვილი:
„გულწრფელად გეტყვით,
რომ მე არ გამჭირვებია
სასახარასთან შესვედრა-
ში. და, აი რატომ. მე
შეტევისას და თავდაცვი-
სას ძირითადად ვიყენებდი
ქართული ჭიდაობის ილე-
თებს. განსაკუთრებით
კარგად გამომდიოდა
ბრუნი და კისრული. იაპო-
ნელებმა იციან ვაჟკაცუ-
რი ჭიდაობა, მოგვევლიან
ჭიდაობაში, რომ იტყვიან,
შემოდიან ფანდზე. მე
ზუსტად ეს მანყობდა. იმი-
ტომაცა მაქვს იაპონელებ-
თან დადებითი ბალანსი.“



მიუნხენში ჩოჩიშვილმა შვიდი შეხვედრა ჩაატარა და ყველაზე მეტი სუფთა გამარჯვება მოიპოვა — 4. ამით მან, პირველი დანის მფლობელმა ძიუდოისტმა, უკან ჩამოიტოვა: სტარბრუკი (4 დანი), ბერტი (4 დანი), იაპონური წარმოშობის ბრაზილიელი იშიუ (5 დანი) და სასახარა (6 დანი).

ოლიმპიადაზე შოთას გამარჯვების შემდეგ, ვლადლენ ანდრეევმა პრესის წარმომადგენლებს უთხრა: „პირველი ჩვენს გუნდში, რა თქმა უნდა, შოთა ჩოჩიშვილი იყო. 22 წლის მოჭიდავე ოლიმპიადამდე იშვიათად მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირებში, მიუნხენში კი მან თავისი უბადლო ოსტატობა დაამტკიცა. შოთა მსოფლიოს ყველა ძიუდოისტისაგან განსხვავდება ილეთების მრავალფეროვნებით. იგი ყოველთვის ახალ ფანდს ეძებს და მეტოქეს პირდაპირ შავ დღეს აყრის. ჩოჩიშვილი ოლიმპიური სარბიელის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ამას, სხვათა შორის, ერთხმად აღნიშნავენ უცხოელი სპეციალისტებიც“.

ის უცხოელი სპეციალისტები თავიდან ისე დააბნია მათთვის ძნელად წარმოსათქმელმა შოთას გვარმა, რომ სანამ კარგად დაისწავლიდნენ, პრესა მისი ათასგვარი შესაძლო ვარიანტებით ააჭრელეს.

ძიუდოს იაპონელმა გულშემატკივრებმა კი ეს გვარი ზედმინევნით კარგად დაიმახსოვრეს. დაიმახსოვრეს შოთას სასწაულებრივი ზეზელა კისრული, რომელსაც, ჭიდაობის პროფესორმა ვახტანგ ბალავაძემ „მეფური ილეთი“ შეარქვა.

ეს ილეთი იაპონელმა სპეციალისტებმა ძიუდოს სახელმძღვანელოებში შეიტანეს.

ისიც საგულისხმოა, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში ძალზე პოპულარული გახდა სახელი „შოთა“ — სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაბადებულ ბავშვს ბევრი იაპონელი მშობელი ამ სახელს არქმევდა.

ამან ერთი ამბავი გამახსენა: მიუნხენის ოლიმპიადიდან ორი წელიც არ იყო გასული, რომ ყაზახეთში გამოიცა შესანიშნავი პოეტის, ხამზა აბდულინის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მკითხველებმა მაშინვე შეიყვარეს. დღეს ამ ქვეყანაში მრავალი „ტარიელი“, „ავთანდილი“, „თინათინი“, „ნესტანი“ და „შოთა“ ცხოვრობს.

*შოთა ჩოჩიშვილი
მეტოქეთა უმეტესობას
იპონით ამარცხებდა*

ასე აახლოებს კულტურა და სპორტი სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს.

* * *

ძიუდოში კი, კამინაგის თქმისა არ იყოს, ახალი ეპოქა იწყებოდა მიუნხენის ოლიმპიადამდე ყოველთვის იაპონელები იმარჯვებდნენ. 1956 წელს ტოკიოში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი აბსოლუტურ წონაში. მაშინ წონითი კატეგორიები ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა იაპონელი სოკიჩი ნაცუი. მომდევნო ჩემპიონატებიც ტოკიოში გაიმართა. 1957 წელს ჩემპიონის ოქროს მედალი კვლავ ნაცუიმ დაისაკუთრა, 1958 წელს კი — კოჯი სონემ. მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატი სამი წლის შემდეგ პარიზში გაიმართა. აქ იაპონელთა ჰეგემონია შეირყა — 27 წლის ჰოლანდიელმა გოლიათმა ანტონ ჰეესინკმა ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხა სონე და მსოფლიოს პირველი ევროპელი ჩემპიონი გახდა.

იაპონელები შეფიქრიანდნენ. მათ ხელდახელ ჩაატარეს ჰეესინკის ანთროპომეტრია. ჰოლანდიელის სიმაღლე 198 სანტიმეტრი იყო, წონა — 128 კილოგრამი, კისრის გარშემოწერილობა — 58, გულ-მკერდისა — 130, ხოლო ბიცეფსისა — 49 სანტიმეტრი.

იაპონელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ჰეესინკი იყო ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც გიგანტებს მიეკუთვნებოდა და მას ზედმეტ სახელად „ჰეესინკიამა“ — „ჰეესინკის მთა“ შეარქვეს.

სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ იაპონელებმა წონითი კატეგორიების შემოღება გადაწყვიტეს, რაშიც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მათ მხარი დუჭირა.

თავდაპირველად დადგინდა, რომ ძიუდოს ოთხ წონაში იჭიდავებდნენ: 68 კილოგრამში, 80 კილოგრამში, +80 კილოგრამსა და აბსოლუტურში. მოგვიანებით წონები კიდევ რამდენჯერმე შეიცვალა.

1964 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ძიუდო ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანა.

სსრ კავშირში მაშინ ძიუდოს ჯერ კიდევ არ ჭიდაობდნენ, ამიტომ გერმანიაში, ქალაქ ესენში 1962 წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამბისტები წაიყვანეს, სადაც ანზორ ქიბრონაშვილი და ანზორ კიკნაძე ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

1964 წელს, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში, ოთხმა საბჭოთა ძიუდოისტმა: ოლეგ სტეპანოვმა, არონ ბოგოლუბოვმა, ფარნაოზ ჩიკვილაძემ და ანზორ კიკნაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, რაც მაშინ დიდ სენსაციად ჩაითვალა.

იაპონელები შეშფოდიდნენ — ანდრეევის არც ერთი მოჭიდავე უმედლოდ არ დარჩენილა. ძიუდოს იაპონელმა სპეციალისტმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა კოჯი სონემ განაცხადა: „რუსი მწვრთნელი, ჩემი მეგობარი ანდრეევი გვიტევს არა ცალკეული ვარსკვლავებით, არამედ ფართო ფრონტით. ეს საშიშია“.

იაპონიის ეროვნული ნაკრების მაშინდელმა უფროსმა მწვრთნელმა, კოდოკანის პროფესორმა, მერვე დანის მფლობელმა მაცუმოტომ კი დასძინა: „რუსები კოდოკანს არყევენ. მათ უკიდევანო ქვეყანაში უამრავი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, რომლებსაც ჭიდაობის მრავალი სახეობა აქვთ. ისინი კარგი სამბისტები არიან, სწავლობენ ძიუდოს, ჩვენ კი სამბოს ყურადღებას არ ვაქცევთ. ხუთი-შვიდი წლის შემდეგ გამოჩნდებიან სამბისტები, რომლებიც სასტიკად დაგვსჯიან“.

მაცუმოტო უთუოდ მართალი იყო, როცა სამბისტებს უფრთხოდა.

1938 წელს, საბჭოთა სპეციალისტებმა სამბო (“თავდაცვა იარაღის გარეშე”) სხვადასხვა ეროვნული ჭიდაობების სინთეზის შედეგად შექმნეს.

სამბოს არსენალში ქართული ჭიდაობის ელემენტს ლომის წილი უდევს და ამიტომ ჩვენმა ფალავნებმა ამ ახალ სახეობას სულ იოლად აუღეს ალღო.

1940 წელს გამართულ საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვეს შალვა ნოზაძემ და არსენ მეკოკიშვილმა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები სხვა-



დასხვა დროს გახდნენ: შოთა დაუშვილი, ქრისტეფორე ნინიაშვილი, გიორგი როსტიაშვილი, ესტატე ქარქუსაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, ლავრენტი კაციაშვილი და სხვები.

მაგრამ სამბო არ იყო ჭიდაობის საერთაშორისო სახეობა და იმდენი გასავალი ჯერ არ ჰქონდა. სამბისტი ვერც ევროპის ჩემპიონი გახდებოდა, ვერც მსოფლიოსი და, მით უმეტეს, ვერც ოლიმპიური თამაშებისა.

ერთადერთი გამოსავალი ძიუდო იყო და ქართველი ფალავნებიც იძულებულნი გახდნენ იაპონური კიმონოები მოერგოთ.

გურამ პაპიტაშვილმა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ჭიდაობის დარბაზი კოდოკანად აქცია; ძიუდოში დააწყებინა ვარჯიში ქრისტეფორე ნინიაშვილმა ანზორ კიკნაძეს, ხოლო ბიძინა მაზიაშვილმა — ფარნაოზ ჩიკვილაძეს.

შედეგმაც არ დააყოვნა. ზემოთაც ვთქვით, რომ ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებზე ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიკვილაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ხოლო 1965 წელს ისინი და კიდევ ანზორ ქიბრო-

წაშვილი ევროპის ჩემპიონები გახდნენ, თანაც ყველაზე პრესტიჟულ — აბსოლუტურ, მძიმე და ქვემძიმე წონით კატეგორიებში.

არა, მართლა არ შემცდარა იაპონელთა კერპი მაცუმოტო. როცა ის საბჭოთა სამბისტებზე ლაპარაკობდა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ქართველებს გულისხმობდა.

საქართველოში ძიუდოს განვითარებას მწვრთნელების მაღალმა კლასმაც შეუწყო ხელი.

ბიძინა მაზიაშვილი ოცი წლის განმავლობაში იყო საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი და მის ხელში ქართველი ფალავნების რამდენიმე თაობამ გაიარა. სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონები, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები: ანზორ მარტყოფლიშვილი, გურამ გოგოლაური, გივი ონაშვილი, ჯიბილო ნიჟარაძე, რამაზ ხარშილაძე და ამირან მუზაევი პირველად სწორედ ბიძინამ გამოიყვანა ტატამზე.

ბიძინა მაზიაშვილს გვერდით ედგნენ ქართველი მწვრთნელები: გურამ პაპიტაშვილი, ქრისტეფორე ნინიაშვილი, შოთა ზუკაკიშვილი, გივი ზაუტაშვილი და სხვები, რომლებმაც დაუღალავი და გულმოდგინე შრომის შედეგად წყალი შეუყენეს იაპონელ ძიუდოსტთა ჰეგემონიას მსოფლიოში.

სწორედ მათ მიერ შექმნილი საფუძვლიანი ტრადიციის შედეგია ის, რომ დღეს საერთაშორისო სარბიელზე ასეთი დიდი წარმატებით გამოდიან საქართველოს ნაკრების ძიუდოსტები.

1962-1972 წლების პერიოდში ქართველი მწვრთნელების აღზრდილებმა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს 25 მედალი მოიპოვეს.

1965 წელს, რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ანზორ ქიბრონაშვილი ფინალში გავიდა და სანუკვარ ოქროს მედალს სულ ერთი ნაბიჯი აშორებდა, მაგრამ შეხვედრის მეთხუთმეტე წუთზე (მაშინ ფინალური ორთაბრძოლები 15 წუთს გრძელდებოდა) იაპონელმა ისაო ინოკუმა მანც შესძლო მისი დამარცხება.

1972 წელს, მიუნხენში, შოთა ჩოჩიაშვილის მიერ მოპოვებული ოლიმპიური ოქროს მედალი ქართველი მწვრთნელების ათწლიანი თავდაუზოგავი შრომის ბრწყინვალე ნაყოფი იყო.

შოთა ჩოჩიაშვილი პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ოლიმპიური მწვერვალი დაიპყრო, პირველი საბჭოთა ფალავანი, ვინც ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი და ამავე დროს, პირველი ევროპელი, რომელიც ქვემძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

* * *

მიუნხენიდან ჩამოსულმა შოთამ ისევ ქართული ჭიდაობის ჩოხა ჩაიცვა და სანდრო კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილ აბსოლუტურ ჩემპიონატში იასპარეზა. ოლიმპიური ჩემპიონის სანახავად მოსულმა მაყურებლებმა თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნები მთლიანად შეავსეს.

იმ დღეებში გაზეთი „ლელო“ წერდა: „სამწუხაროდ, ზოგიერთმა ძლიერმა მოჭიდავემ ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარი თქვა. მათ მაგალითი უნდა აიღონ ოლიმპიური ჩემპიონისაგან, რომელიც დაღლილობის მიუხედავად, ხალისით დათანხმდა ტურნირში გამოსვლას“.

შოთამ ყველა შეხვედრა მოიგო და საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

ორი თვის შემდეგ, 1973 წლის თებერვალში, შოთა ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო შეჯიბრებაზეც გამოვიდა.

ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს ტურნირი ძალზე მნიშვნელოვანი ასპარეზობა იყო. ვლადლენ ანდრეევმა მას „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“ უწოდა.

თბილისში სხვადასხვა ქვეყნის 90 ძიუდოისტი ჩამოვიდა, მათ შორის, იაპონელებიც.

ეს ასპარეზობა გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა მიუნხენის ოლიმპიურ ტურნირს — შოთამ მესამე წრეში გერმანელ აისვირტთან წააგო



შოთა ჩოჩიშვილი პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ოლიმპიური მწვერვალი დაიპყრო, პირველი საბჭოთა ფალაგანი, ვინც ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი და ამავე დროს, პირველი ევროპელი, რომელიც ქვემძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.



და ისევ სანუგეშო ჯგუფის იმედად დარჩა. ამ ჯგუფში მან ჯერ გერმანელ ლორენცს მოუგო, მერე — ფრანგ ტრიპეტს და ფინალში ევგენი სოლოდუხინს დაუპირისპირდა.

რუსთან გამარჯვებას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა — ერთი, რომ ტურნირის ჩემპიონი გახდებოდა და მეორეც, უსათუოდ უნდა გაენბილებინა ისინი, ვინც გამუდმებით ჭორაობდა — ებრაელმა ანდრეევმა რუსის ნაცვლად მიუნხენში ქართველი წაიყვანა და სოლოდუხინის კუთვნილი „ოქრო“ ჩოჩიშვილს არგუნაო.

მართლაც, შოთამ ძალზე შთამბეჭდავად დაამარცხა სოლოდუხინი და ამით ყოველგვარი ეჭვი გააქარწყლა.

1973 წლის მადრიდის ევროპის ჩემპიონატზე შოთა ჩოჩიშვილი მისთვის უჩვეულო — აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

ანალოგიურ წარმატებას მიაღწია მან 1974 და 1975 წლის ევროპის პირველობებზეც.

1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ავსტრიის დედაქალაქი ვენა მასპინძლობდა. მასში 42 ქვეყნის ძიუდოისტი მონაწილეობდა. ეს შეჯიბრება მონრეალის ოლიმპიური ტურნირის გენერალური რეპეტიცია გახლდათ და ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. სპეციალისტები ფავორიტებად, რა თქმა უნდა, იაპონელ ძიუდოისტებს ასახელებდნენ. მათი გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი იყო. საბჭოთა ნაკრების სახელით კი ხუთი ქართველი გამოდიოდა: შენგელი ფიცხელაური (მსუბუქი წონა), რამაზ ხარშილაძე (ქვემძიმე), ჯიბილო ნიჟარაძე (მძიმე), გივი ონაშვილი და შოთა ჩოჩიშვილი (ორივე აბსოლუტური წონითი კატეგორია).

ქართველების ასეთი სიმრავლე ოლიმპიადისწინა მსოფლიო ჩემპიონატზე უტყუარი საბუთია იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი მაშინაც ვლადლენ ანდრეევი იყო. ეს უცნაური კაცი თავის სანუკვარ მიზანს არ ივინყებდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, იაპონელებისთვის უნდა ეჯობნა და ამ ოცნების ასრულებას ისევ ქართველი ფალავნების შემწეობით აპირებდა.



*იაპონელი კეტჩისტი
ანტონიო ინოკი და
შოთა ჩოჩიშვილი*

დიუდოსტა ტურნირების მონაწილე ქვეყნებს ყველა წონაში ორ-ორი მოჭიდავის გამოყვანის უფლება ჰქონდათ, ისე, რომ აბსოლუტური წარმატება ჭიდაობის ამ სახეობაში 6 ოქროსი და 6 ვერცხლის მედლის აღებას ნიშნავდა. იაპონელთა ნაკრები სამშობლოში 11 მედლით დაბრუნდა. მათ ვენის მსოფლიო ჩემპიონატზე 4 ოქრო, 4 ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოიპოვეს.

საბჭოთა ნაკრების ნადავლი კი ასეთი იყო: 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ფრანგებმა 1 ოქროსი და 2 ბრინჯაოს აღება შეძლეს, გერმანელებმა — 2 ბრინჯაოსი, ხოლო პოლონელებმა, კორეელებმა და იტალიელებმა, შესაბამისად, თითო ბრინჯაოსი.



ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ იაპონელები ნელ-ნელა ჰკარგავდნენ პირველობას? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ წარმატებით ფრთაშესხმული საბჭოთა ჟურნალისტები სხვაგვარად ფიქრობდნენ:

“იაპონელებმა მწარე მარცხი განიცადეს, მათ მსოფლიო ჩემპიონის ორი ოქროს მედალი დაკარგეს. ერთი მათგანი მაიკოპელმა ვლადიმერ ნევზოროვმა მიიღო, მეორე — ფრანგმა ჟან ლიუკ როჟემ“.

“ძიუდოს ფუძემდებლებისთვის ერთობ ძნელი მისაღებია ეს კანონ-ზომიერება, მაგრამ ამკარაა, რომ რაც დრო გადის, მათ უფრო მეტად უჭირთ პოზიციების შენარჩუნება“.

“ვენის მსოფლიო ჩემპიონატში, ისევე, როგორც მიუნხენში, იაპო-

*ანტონიო ინოკი,
ანზორ ქიბრონაშვილი
და შოთა ჩოჩიშვილი*

ნელებმა კვლავ დაკარგეს ოქროს მედალი ქვემძიმე წონაში. დაბალ კატეგორიებში კი თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ დამთავრდა ქვესაშუალო წონის ათლეტთა ტურნირი და გაირკვა, რომ იაპონელებს აქაც მოეცარათ ხელი. ვლადიმერ ნევზოროვმა ოქროს მედალი დაისაკუთრა, ვიტალი დვონიკოვმა კი ვერცხლისა. ფინალი იაპონელთა გარეშე ჩატარდა“.

ქართველებიდან ყველაზე დიდი შანსი, რა თქმა უნდა, შოთა ჩოჩიშვილს ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ხელი მოეცარა. გაზეთი „ლელო“ წერდა: „ნახევარფინალური ბრძოლა იაპონელ ნინომიასთან ჩოჩიშვილმა კარგად დაიწყო. მეორე ნუთზე მან ჩაავლო ხელი ქამარში მეტოქეს და ბრწყინვალე გდება შეასრულა. შუამავალმა მსაჯმა უმაღლესი შეფასება მისცა ამ ილეთს, მაგრამ ვარდნის შემდეგ იაპონელმა ჩოჩიშვილს წამოდგომა არ აცალა, ტატამზე ამოატრიალა და შებოჭა. პარალელურად, გვერდითმა მსაჯებმა შუამავალის გადაწყვეტილება გააუქმეს და იაპონელს შებოჭვის გაგრძელების საშუალება მისცეს. მაყურებელი სტვენითა და უკმაყოფილო ხმაურით შეხვდა ამ საქციელს, მაგრამ მსაჯებმა გაუგონარი გულგრილობა გამოიჩინეს და გამარჯვებულად იაპონელი გამოაცხადეს. ჩოჩიშვილს ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მოუხდა სარბიელზე გამოსვლა. მან დაამარცხა უნგრელი ვარგა და საბოლოო ჯამში ბრინჯაოს ჯილდოს დაეპატრონა“.

ახლოვდებოდა მონრეალის ოლიმპიური თამაშები და საბჭოთა ნაკრებში ვნებათაღელვა მატულობდა. „მონრეალის გზა თბილისზე გადის,“ — აცხადებდა ვლადლენ ანდრეევი. იგი თბილისის საერთაშორისო ტურნირს გულისხმობდა.

თბილისში, ანზორ კიკნაძის სახელობის ტრადიციულ ტურნირზე იაპონელებმა უძლიერესი გუნდი ჩამოიყვანეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი ბადალი მსოფლიოში არავინ იყო. ჩემპიონები გახდნენ მძიმეწონოსანი ენდო და ქვესაშუალო წონის ძიუდოისტი ხურამიტო. იშკაკავამ ფინალში რამაზ ხარშილაძესთან წააგო და ვერ-

ცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო იმიმურა — ბრინჯაოსას. იაპონელთა მთავარი კოზირი — ხიტურინო ნინომიაც დაუბრკოლებლად მიინევდა ფინალისაკენ.

ფინალში გასასვლელად იბრძოდა შოთა ჩოჩიშვილიც.

აი, რას წერდა მაშინ ცნობილი ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი ამ ტურნირისა და კერძოდ, შოთას შესახებ: „მოჭიდავეთა ერთი ნაწილი ძიუდოში სამბოდან მოვიდა, ნაწილი — ქართული, ან სხვა რომელიმე ეროვნული ჭიდაობიდან. ზოგნი ძიუდოში წარმატებით იყენებენ თავისუფალი ჭიდაობის ილეთებს. ესე იგი იაპონური ჭიდაობა სპორტსმენის წინაშე ფართო შესაძლებლობებს სახავს. აირჩიე და გამოიყენე ის, რომელიც უფრო მართებულად მიგაჩნია, რომელიც უფრო ახლოს დგას შენს სისხლთან და ხორცთან.“

მაგრამ როგორც პრაქტიკა და თვით იაპონელთა გამოცდილება გვიჩვენებს, ძიუდოს ყველაზე მეტად უახლოვდება ქართული ჭიდაობა თავისი მრავალრიცხოვანი ხერხებითა და ილეთებით. ამ აზრის სისწორე ერთხელ კიდევ ცხადყო ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის მაგალითმა. ქართველი ოსტატის არსენალი ძირითადად ეროვნული ჭიდაობის ილეთთა მრავალფეროვნებაზეა დაფუძნებული. იგი თამამად იყენებს ყველა იმ ხერხს, რაც ბავშვობაში ისწავლა ტოლ-ამხანაგებთან ძიძგილაობის დროს, მერე კი სრულყო და ავტომატიზმამდე დახვეწა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს, ოლიმპიური ჩემპიონი მთლიანად ქართული ჭიდაობის ილეთებსაა მინდობილი. სადაც საჭიროა, სადაც სიტუაცია მოითხოვს, იგი არ ერიდება წმინდა იაპონურ ხერხებსაც (შებოჭვა, მტკივნეული ილეთები და ა. შ.), თუმცა კი ქართული ჭიდაობის რაინდული სული მას უფრო მეტად იტაცებს.

ეს სული ჩვენთვის უფრო ახლობელია და მისაღები. ჩოჩიშვილი გამართული მიდის მეტოქესთან, არ იხევს უკან და ცდილობს მოწინააღმდეგე მისთვის ხელსაყრელი პოზიციიდან წამოაგოს ანკესზე. პოლონელ ბელიავსკისთან შეხვედრაში ჩოჩიშვილმა უნაკლოდ შეასრულა



შოთა ჩოჩიშვილი,
გურამ პაპიტაშვილი
და ჯემალ მჭედლიშვილი

მოგვერდი, ისე, რომ მეტოქე მხოლოდ ჰაერში მიხვდა რა ბედიც ელოდა. მეორე პოლონელი — ლევინი მარტივი სარმის მსხვერპლი გახდა. სხვა ასეთ სარმას მხოლოდ შეტევის წამოწყებისთვის მიმართავს. ჩოჩიშვილმა კი ამით დაიწყო და დამთავრა ჭიდაობა. დაახლოებით ანალოგიური ბედი ენია მონგოლ ჟალას. ოლიმპიური ჩემპიონი გამართული იდგა სარბიელზე, ჟალა კი ტატამზე ფართხალებდა.

ამ სამი ბრძოლის ჩატარებას ჩოჩიშვილმა 2 წუთზე ცოტა მეტი დრო მოანდომა.

უნგრელმა პეტროვსკიმ ნახევარფინალში აირჩია ტაქტიკა, რომელსაც ძიუდოს ლექსიკონში საერთოდ ვერ ნახავთ, მაგრამ, სამწუხაროდ ფართოდ გავრცელებულია მოჭიდავეთა შორის. ამ ტაქტიკის მიზანია ყველა ღონითა და ხერხით ხელი შეუშალო მეტოქეს. შენ თვითონ არაფერს აკეთებ, არც ცდილობ რაიმე გააკეთო, სამაგიეროდ, ხელს უშლი მეტოქეს. ასეთი ტაქტიკა, ცხადია, თავიდანვე განწირულია, მისი მიმდევარი მხოლოდ დროს იგებს და მეტს არაფერს.

პეტროვსკიმ მართლაც მოიგო დრო, მაგრამ შთაბეჭდილება უფრო ცუდი დატოვა, ვიდრე სხვა დამარცხებულებმა.



ასე მივიდა ოლიმპიური ჩემპიონი თავის მთავარ შერკინებამდე. ფინალში მისი მეტოქე იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი აბსოლუტურ წონაში, იაპონელი ნინომია“...

დაბალი, ჩამრგვალებული ნინომია, მიუხედავად თავისი კომპლექციისა, საოცრად სწრაფი მოჭიდავე იყო, მაგრამ შოთასთან ამჯერად არაფერი გაუვიდა — ქართველმა ფალავანმა მას ჯერ „კოკა“ აართვა, მერე კი თავის უსაყვარლეს ილეთზე დაიჭირა და ტატამზე საშინელი ძალით დაანარცხა — „იპონი“!

მონრეალისაკენ მიმავალი გზა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბრწყინვალედ დაიწყო.

ვლადლენ ანდრეევმა საბჭოთა ნაკრებში სამი ქართველი შეიყვანა: შოთა ჩოჩიშვილი, რამაზ ხარშილაძე და 20 წლის ოლეგ ზურაბიანი, რომელმაც ბოლო ხანებში საკმაოდ კარგად წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები. მათ გარდა გუნდში მოხვდნენ დვოინიკოვი, მაიკოპელი ვლადიმერ ნევზოროვი და კიეველი სერგეი ნოვიკოვი.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები სანახევროდ ქართველებით დაკომპლექტდა. სამწუხაროდ, ზურაბიანი ტურნირს

პირველივე წრეში გამოეთიშა, რამაზ ხარშილაძე კი მონრეალის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გახდა.

შოთა ჩოჩიუაშვილი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. თავიდან ოცდათერთმეტმა ძიუდოისტმა განაცხადა ამ წონაში გამოსვლის სურვილი, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ შვიდმა მათგანმა ჭიდაობაზე უარი თქვა. პირველ წრეში შოთა ჩოჩიუაშვილს თავი აარიდა ესპანელმა კრუტოსმა, შემდეგი წრიდან კი ჩვენმა ფალავანმა რამდენიმე მეტოქე ისე დაამარცხა, რომ დიდი ენერგია არ დაუხარჯავს. სტარტზე მან ვაზარით მოუგო იუგოსლავიელ რადომირ კოვაშევიჩს, მერე კი ქულებით აჯობა ჩეხოსლოვაკიელ ვლადიმირ ნოვაკს.

ფინალში გასასვლელად ჩოჩიუაშვილი მსოფლიო ჩემპიონს, იაპონელ ხარუკი უემურას შეხვდა. ექვსნუთიანი ჭიდილი ფრედ დასრულდა, რადგან მომგებიანი ილეთი ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ ჩაატარა. ასეთ შემთხვევაში ყველაფერს მსაჯები წყვეტენ. გამოცხადდა „ჰანტი“ — და სამივე მსაჯმა იაპონელისკენ გაიშვირა ხელი.

ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლაში შოთა თავის ტრადიციულ მეტოქეს, ფრანგ ჟან ლიუკ რუჟეს შეხვდა, რომელმაც წინა წელს, ვენაში უდიდეს წარმატებას მიაღწია — მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ჩოჩიუაშვილმა ფრანგი მშვენიერ სტილში დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ძალზე იმეათია ძიუდოისტი, ორი ოლიმპიური მედალი რომ ჰქონდეს. ერთ-ერთი მათგანია შესანიშნავი ქართველი ფალავანი შოთა ჩოჩიუაშვილი.

* * *

1978 წლის თებერვალი. თბილისი. ანზორ კიკნაძის სახელობის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი.

ჭიდაობის მოყვარულთა შორის ხმა გავარდა — იაპონელებს ვილაც ახალგაზრდა ბიჭი ჩამოუყვანიათ, რომელსაც ვერავინ უძლებს, თავისი ქვეყნის ჩემპიონატზე მას თვით ლეგენდარული ენდოც კი წაუქცევიაო.



ვანტანგ ბალავაძე:
„მიუნხენის ოლიმპიადა-
ზე თვითმხილველი ვარ
მწვერვალისაკენ შოთას
ტრიუმფალური სვლისა.
ქართული მეფური ილე-
ითი — მე ასე ვუნოდებ
ზე ზელა კისრულს — რა
საოცრად დაანარცხა
სახელგანთქმული ია-
პონელი ტატამზე. მის
პაექრობაზე მისული
ქართველი ოლიმპიელები
აღფრთოვანებულები
ეულოცავდით შოთას“.

სპორტის სასახლეს უამრავი ხალხი მიაწყდა.

იაპონური ძიუდოს 20 წლის ამომავალ ვარსკვლავს იასუჰირო იმა-სიტა ერქვა. მან სულ იოლად დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი, კიეველი სერგეი ნოვიკოვი და თბილისელი გოლიათი ჯიბილო ნიჟარაძე.

მაყურებელი აზარტმა შეიპყრო — ნუთუ იაპონელის ნამქცევი არავინ გამოჩნდება, ნუთუ ამ ბიჭს ვერავინ მოუგებს?

როცა ტატამზე შოთა ჩოჩიშვილი იხმეს, სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ისეთი მქუხარე ტაში ატყდა, რომ ახლა იაპონელები შეფიქრიანდნენ. მათ მაშინვე მიატოვეს თავიანთი ჩვეული ადგილი და სასწრაფოდ პირველ ტატამთან გამწკრივდნენ, სადაც ოლიმპიური ჩემპიონი ვარგას ხვდებოდა.

უნგრელთან გამარჯვების შემთხვევაში შოთა იამასიტოს უნდა დაპირისპირებოდა და ამიტომ მაყურებლები ამ პაექრობას განსაკუთრებული მღელვარებით ელოდებოდნენ. თუმცა, ჩოჩიშვილი ადრეც არაერთხელ შეხვედროდა ვარგას და ყველას სჯეროდა, რომ იგი ამჯერადაც წარმატებას მიაღწევდა.

ბრძოლა ნელ ტემპში დაიწყო. თითქოს ყველაფერი ჩვეული კალაპოტით მიდიოდა, მაგრამ ერთ, არც თუ ისე რთულ სიტუაციაში, ვარგამ „მაკრატელა“ წამოიწყო, შოთას მარცხენა ფეხი უხერხულად მოჰყვა და ტატამიდან თავისით ველარ წამოდგა.

როცა წამოაყენეს, აღმოჩნდა, რომ სერიოზულად დაშავებულიყო.

იამასიტა თბილისის ტურნირის ჩემპიონი გახდა. შოთას კი მოტეხილი ფეხი თითქმის მთელი წელი ჰქონდა თაბაშირში.

იმავე საღამოს, „ლელოს“ კორესპონდენტთან საუბარში იამასიტას უთქვამს: „თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მთავარ მეტოქედ შოთა ჩოჩიშვილი მიმაჩნდა. მის შესახებ ბევრი რამ მსმენოდა. საქართველოში გამომგზავრების წინ, ჩოჩიშვილთან შესახვედრად ნინომია მამზადებდა. არაერთხელ მაჩვენეს კინოფირი, რომელზეც ჩოჩიშვილის ჭიდაობა იყო აღბეჭდილი. ძალიან მეწყინა, რომ შოთამ ტრავმა მიიღო და ერთმანეთს ველარ შევხვდით. გულწრფელად მოგახსენებთ, ამით ჩემი გამარჯვება სრულფასოვნად არ მიმაჩნია“.

28 წლის შოთა ჩოჩიშვილი იძულებული გახდა ჭიდაობისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ მისმა ვარსკვლავმა მოგვიანებით ერთხელ კიდევ გაიბრწყინა.

ეს 11 წლის შემდეგ — 1989 წელს მოხდა.

* * *

მიუხედავად მკაცრად დადგენილი კანონებისა, ზოგჯერ გამოჩნდებოდა ხოლმე ისეთი ძიუდოისტებიც, რომელიც არაფრად დაგიდევდათ კოდოკანის წესებს და საკუთარ ძალებში დარწმუნებული წამდაუნუნებულ მართავდა ორთაბრძოლებს ჯიუ-ჯიცუსა თუ სხვა სკოლების წარმომადგენლებთან.

ერთ-ერთი მათგანი იყო ძიგარო კანოს უნიჭიერესი მოწაფე — საიგო.

ერთხელ საიგო და მისი ამხანაგები, ტოკიოს ბაზარში გადაეყარნენ სუმოისტებს, რომელთა შორისაც იყო მაშინდელი იაპონიის ცოცხალი ლეგენდა — არაუმი (“ზობოქარი ზღვა”). საკეთი შეზარხოშებული ბიჭები რალაცაზე შეკამათდნენ და ატყდა საშინელი ჩხუბი.

საიგო ერთხანს თავს იკავებდა, მაგრამ როცა არაუმი იოლად გაუსწორდა მის ამხანაგებს, იძულებული გახდა ბრძოლაში თვითონაც ჩარეულიყო.

გოლიათები ერთმანეთს დაეძგერნენ.

მინა ზანზარებდა, ინგრეოდა დახლები, ნუმპეში მიგორავდა ნაირ-ნაირი ხილი, ისმოდა დაფეთებული ქათმების კრიახი და შეშინებულ მოვაჭრეთა ნივილ-კივილი. ბაზარში ქვა ქვაზე არ დარჩენილა.

სიმთვრალის მიუხედავად, საიგომ მაინც სძლია მრისხანე მეტოქეს და ბეჭებზე გააკრა იგი.

ამასობაში მოცვივდნენ შეიარაღებული პოლიციელები და ყველანი დააპატიმრეს. საქმე იმან უფრო გაართულა, რომ იმ არეულობაში საიგოს რამდენიმე პოლიციელიც შემოელახა.



ნოდარ გუგუშვილი:
 „ძიუდოს ყველაზე მეტად
 უახლოვდება ქართული
 ჭიდაობა თავისი მრავალ-
 რიცხოვანი ხერხებითა
 და ილეთებით. ამ აზრის
 სისწორე ერთხელ კიდევ
 ცხადყო ოლმპიური ჩემ-
 პიონის შოთა ჩოჩიშვილის
 მაგალითმა. ქართველი
 ოსტატის არსენალი ძი-
 რითადად ეროვნული
 ჭიდაობის ილეთთა მრავალფეროვნებაზეა და-
 ფუძნებული. იგი თამამად
 იყენებს ყველა იმ ხერხს,
 რაც ბავშვობაში ისწავლა
 ტოლ-ამხანაგებთან ძი-
 გილაობის დროს, მერე კი
 სრულყო და ავტომატიზ-
 მამდე დახვეწა.“

კოდოკანის წევრებმა იგი პატიმრობიდან იხსნეს, მაგრამ, როცა დიგარო კანომ ეს სკანდალური ამბავი შეიტყო, თავისი საუკეთესო მოწაფე უყოყმანოდ გარიცხა სკოლიდან.

საიგო შორეულ ნაგასაკში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა. კანომ მას, პატიების ნიშნად, სიკვდილის შემდეგ, მეექვსე დანი მიანიჭა.

დიგარო კანოს მეორე მოწაფე — მაედა, რომელსაც ათასზე მეტი შეხვედრიდან ერთიც არ ჰქონდა წაგებული, ოკეანისგალმა გაემგზავრა. ამერიკის კონტინენტზე იგი ნებისმიერ მსურველთან მართავდა ორთაბრძოლებს, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა. ამით მაედამ დიდძალი ფული იშოვნა.

მეორეს მხრივ, ამერიკელებიც ჩადიოდნენ იაპონიაში, რათა იქ საკუთარი ძალები გამოეცადათ. ერთ-ერთი მათგანი იყო ედ სანტერუ, რომელმაც ისე კარგად აითვისა ძიუდოს ილეთები, რომ თითქმის ყველა იაპონელი დაჯაბნა. ბოლოს, გაამპარტავნებულმა ამერიკელმა საკუთარი თავი მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადა. 1924 წელს, ლოს-ანჯელესში იგი შეხვდა უძლეველ იაპონელ ოტას. მათი სამრაუნდიანი შერკინება ფრედ დასრულდა.

დიგარო კანო ასეთი ორთაბრძოლების სასტიკი წინააღმდეგი იყო. ერთხელ, როდესაც იგი ერთ ამგვარ შეჯიბრებას დაესწრო, თავის მოწაფეებს განუცხადა: „თქვენ ახალგაზრდა, გაუხედნავი ხარებივით იბრძოდით. არც ერთი ილეთი არ იყო ნატიფი და დახვეწილი. მე თქვენთვის ასეთი ძიუდო არასოდეს მისწავლებია. თუკი მომავალშიც მხოლოდ უხეში ძალის იმედზე იქნებით, იცოდეთ, ძიუდო უსათუოდ მოკვდება“.

საბედნიეროდ, კანოს შიში არ გამართლდა. დღევანდელ მსოფლიოში ძიუდო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სახეობაა. მილიონობით ადამიანი სწავლობს ძიუდოს ილეთებს და ერთგულად მისდევს „საკურას ფილოსოფიას“, რომელსაც იაპონელმა ექიმმა აკაიამამ მრავალი საუკუნის წინათ დაუდო სათავე.

* * *

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიით გულდამძიმებულ თბილისში ხმა გავრცელდა — 24 აპრილს, შოთა ჩოჩიშვილს იაპონელი კეტჩისტი ანტონიო ინოკი დაუმარცხებიაო. ბევრს ეს ამბავი მორიგი ქორი ეგონა — სად შოთა და სად კეტჩიო, მაგრამ მალე ჩოჩიშვილი ტოკიოდან თბილისში ჩამოვიდა და თან ოქროთი და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ჩემპიონის ქამარი ჩამოიტანა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ინოკიმ, რომელიც მანამდე ჯერ მოკრივეებს, მუჰამედ ალის და სფინკსს შეხვედროდა, მერე კი ძიუდოსტ რიუსკას, სურვილი გამოთქვა ახლა ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ჩოჩიშვილთან ეცადა ბედი.

შოთამ გამონწვევა მიიღო.

თავიდან დათქმული იყო, რომ მათი შერკინება სუმოს დარბაზში ჩატარებულიყო, მაგრამ როცა შეჯიბრებაზე დასწრების მსურველთა რიცხვმა 60 ათასს გადააჭარბა, იძულებულნი გახდნენ შერკინება ბეისბოლის დარბაზ „ტოკიო-დომში“ გადაეტანათ.

თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, კეტჩში ყველაფერი მოსულა — ძიუდოს მტკივნეული და მახრჩობელა ილეთები, კარატეს დარტყმები და სრულიად ჩვეულებრივი მუშტი-კრივიც.

შოთამ თავიდანვე გამოაცხადა, რომ ის სუფთა ძიუდოს იჭიდავებდა.

პირველი რაუნდი ქართველი ფალავნის მარცხით დასრულდა. მეორეში შოთამ თავისი საყვარელი ბრუნით მეტოქე ძირს დასცა. მესამე რაუნდში ინოკიმ ხელი იტკინა, მაგრამ დანებება აზრადაც არ მოსვლია.

მეხუთე რაუნდის პირველივე წუთზე ჩოჩიშვილმა ბრუნით ზედიზედ დაანარცხა რინგზე მეტოქე, რის შემდეგაც ანტონიო ინოკი ველარ წამოდგა.

* * *

— მაინც რა არის შენი ასეთი წარმატების მიზეზი? — ვკითხე ერთხელ შოთას.



ჩემპიონი ჩაფიქრდა.

— როგორ გითხრა, მიზეზი ბევრია. შეიძლება ითქვას, მიზეზების მთელი კომპლექსი არსებობს, მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ სოფელში გავიზარდე და როგორც ყველა სოფელელ ბიჭს, მშობლები არც მე მანებივრებდნენ. ფეხი ავიდგი თუ არა, მაშინვე საქმე გამომიჩინეს: გაზაფხულზე მამასთან და ძმასთან ერთად მიწას ვზარავდი, ზაფხულში წყაროდან წყალს ვეზიდებოდი, წისქვილში საფქვავს ვუთენებდი, მამას ტყეში დავდევი, შემოდგომით სიმინდს ვამტვრევდი, ნამგლით ხმელ

*რამაზ ხარშილაძე,
შოთა ჩოჩიშვილი
და ამირან მუზავეი*

ფუჩეჩს ვჭრიდი, ჩამობერტყილ კაკალს ვკრეფდი და წვრილიანში თონის ჩასაკიდებელ ფიჩხს ვაგროვებდი...

ტყეში დილაუთენია მივდიოდით. როგორც ყველა ბავშვს, მგლისა მეც მეშინოდა და მახსოვს, ერთხელ მამაჩემს ვკითხე — აქ მგელმა საით უნდა ჩამოიაროს-მეთქი. ამის გამო ხშირად დამცინოდნენ, მე კი ვცდილობდი ის შიში გულიდან როგორმე ამომეგდო. ამოვიგდე კიდეც.

მაშინ შეძენილი გაბედულება და შეუპოვრობა მომავალში ძალიან გამომადგა.

ტყიდან ჩამოსულებს, დედა ამოზელილ ლობიოსა და ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს გვახვედრებდა. ახლაც მახსოვს იმ ლობიოსა და ხაჭაპურის გემო...

ეგრე ვიზრდებოდი. გამუდმებულმა შრომამ კარგად გამომჯეგა, ფიზიკური ძალა და ამტანობა შემძინა. ამტანი, ძლიერი და შეუპოვარი ყმანვილი კი მშვენიერი მასალაა ძიუდოსთვის.

რალა დარჩა? — ნიჭი. ეს ნიჭი კი, ეტყობა, შთამომავლობით დამყვა: მთელი ჩემი სანათესავო ჭიდაობაზე გიჟდებოდა — მამაჩემი სამსონი კარგი ფალავანი იყო, დედაჩემის ძმა ვიქტორ ცხოვრებაძე — კიდეც უკეთესი, ხოლო ჩემი დეიდაშვილი, ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭი, ცხოვრებული კობა კურტანიძე მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ.

ეს ტრადიცია ჩემმა შვილებმაც გააგრძელეს: რამაზი ევროპის ორგზის პრიზიორი და არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. სამჯერ მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. რეზო კი მსოფლიო თასის მეორე პრიზიორი და საქართველოს ჩემპიონია სამბოში.

ჯერ არ ვიცი, ჩემი შვილიშვილები რას იზამენ. ოთხი მყავს: შოთა, მარინე, გიორგი და დემეტრე. ორი რამაზისაა და ორიც — რეზოსი.

რა ვიცი, ვნახოთ. ის პატრა, მგონი, პაპის კვალზე უნდა წავიდეს...

წარმატების მიზეზზე მკითხე... რაცა ღმერთმა არ ინებოს, არა საქმე არ იქნებისო. ჩემი წარმატებაც უფალმა ინება. 15-16 წლის ბიჭი ვიყავი, როცა ასეთი რამ მესიზმრა: თეთრწვერიანმა, თეთრი სამოსით შემოსილმა მოხუცმა საჭიდაო ხალიჩაზე შემეყვანა, დამაჩოქა და თავზე ხელი დამადო. ჩემს წარმატებას მე სწორედ იმ მოხუცს ვუმაძლი.“



* * *

შოთა ჩორიშვილის მშობლიურ სოფელში ახალშეკეთებული საყდარი დგას, რომლის ერთ კედელზე ასეთი წარწერაა ამოკვეთილი: „მე ცოდვილმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჭიდაობა ძიუდოში, შოთა ჩორიშვილმა სოფლის თანადგომით აღვადგინე და მოვახატვინე მშობლიური სოფლის ღვთისმშობლის ბაზილიკა. დიდება, შენდა უფალო, ან და მარადის უკუნითი უკუნისამდე. ამინ. 1998 წლის მკათათვე.“

საქართველომ კიდევ ერთი დიდი ფალავანი დაკარგა: 2009 წლის 27 აგვისტოს 59 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელოვანი ძიუდოსტი შოთა ჩორიშვილი. ის დაკრძალეს მშობლიურ ღვლევში, ახალშეკეთებული საყდრის ეზოში.

შოთა ჩოჩიშვილი

დაიბადა 1950 წლის 10 ივლისს ღვლევეში, ქარელი. ძიუდო (93, 95 კგ). XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი), XXI ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1976, მონრეალი), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1975), ევროპის ჩემპიონატის სამგზის მეორე (1973, 74, 75) და მესამე (1977) პრიზიორი, სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1974, 77) და ორგზის მესამე (1974, 75) პრიზიორი, საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1972, 77). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი. გარდაიცვალა 2009 წლის 27 აგვისტოს.



SHOTA CHOCHISHVILI

Judoist (93, 95 kg), was born on July 10, 1950 in Gvlevi village of kareli district (Eastern Georgia). He was a champion of XX Olympic Games (Munich, 1972), bronze medalist of XXI Olympic Games (Montreal, 1976), bronze medalist of the world championship (1975), three time silver (1973, 1974, 1975) and bronze (1977) medalist of European championships. Chochishvili was a silver (1974, 1977) and bronze (1974, 1975) medalist of the USSR championships and twice absolute champion of Georgia in the Georgian folk-style wrestling (1972, 1977). He was the USSR Honored Master of Sports and was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor. Chochishvili deceased on August 27, 2009.